ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 482617710**

თარიღი:**26/06/2026**

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირების

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ'' 2026 წლის 25 ივნისის N1/1-5527 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით დარეგისტრირდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე უძრავი ქონება (მიწის/ უძრავი ქონების/ საკადასტრო კოდი N29.10.32.255).

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მ. კანკაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO

12745

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი